თანამოხსენება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი შედგენა მოხდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენა დაიწყო 2023 წლის პირველ მარტს (საბიუჯეტო კოდესის შესაბამისად), როდესაც მერის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (ბრძანება Nა 46.4624.0612.), რომელშიც განსაზღვრული იყო პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. შემდგომ ამ ბრძანებაში შევიდა ცვლილება (ბ.46.4621.1692- 17.06.24).

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 15 სექტემბრის ბრძანების Nბ 46.46 24 22 88 თანახმად, დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ამ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პროგრამები (ქვეპროგრამები), ღონისძიებები და მათი მიზნის აღწერა, საშუალოვადიანი და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას.

საქარტველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6-ე პუნქტის შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს 05.10.23 წლის (N 04-03/78 382) წერილის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიიმართა შემდეგი საპროგნოზო მაჩვენებლები:

- დღგ - 9 185,3 ათასი ლარი;
- ქონების გადასახადი - 2 400,0 ათასი ლარი;
- მიზნობრივი ტრანსფერი - 290,0 ათასი ლარი, რომელიც შემდგომ დაზუსტდა ფინანსთა სამინისტროს წერილის (04-03/88015. 08.11.2023) თანახმად და იგი განისაზღვრა 178,1 ათასი ლარით.

  საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოხდა ბიუჯეტის საჯარო განხილვა. ბიუჯეტი განხილული იქნა საკრებულოში და შესაბამისი შენიშვნებით გადაეცა მერიას.

  მერიის მიერ გათვალისწინებული იქნა ამ შენიშვნების უმრავლესობა და საბოლოოდ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცდა 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის მოცულობამაც შეადგინა 15 755, 8 ათასი ლარი.

  შემდგომში ბიუჯეტში ცვლილებები შეტანილი იქნა სამჯერ.

პირველი ცვლილება - შეტანილი იქნა 2024 წლის 28 მარტს ((საკრებულოს დადგენილება N3) განმარტებითი ბარათი თან ერთვის 5 გვერდად)).

ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 10 186,6 ათასი ლარით.

ბიუჯეტის მოცულობა გახდა 25 942,4 ათასი ლარი.

მეორე ცვლილება - შეტანილი იქნა 2024 წლის 26 ივლისს ((საკრებულოს დადგენილება N14) განმარტებითი ბარათი თან ერთვის 3 გვერდად)).

ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 8 817,4 ათასი ლარით.

ბიუჯეტის მოცულობა გახდა 34 759,8 ათასი ლარი.

მესამე ცვლილება - შეტანილი იქნა 2024 წლის 26 დეკემბერს ((საკრებულოს დადგენილება N16, 2 განმარტებითი ბარათი თან ერთვის თითოეული 1 გვერდად)).

ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 5 372,9 ათასი ლარით.

ბიუჯეტის მოცულობა გახდა 40 132,7 ათასი ლარი

შემოსავლები

2024 წლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 36 191,7 ათასი ლარი, მათ შორის:

1. შემოსავლები-35 504,1 ათასი ლარი.
2. არაფინანსური აქტივების კლება 687,6 ათასი ლარი;

შემოსავლებიდან, რომელიც შეადგენს 35 504,1 ათას ლარს, გადასახადები არის 12 019,6 ათასი ლარი, მათ შორის ქონების გადასახადი 2 622,4 ათასი ლარი, დღგ - 9 397,2 ათასი ლარი.

გრანტები- 21 477,5 ათასი ლარი, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებილი გრანტები - 1 126,5 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები - 2 007,1 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები ბიუჯეტში დაგეგმილი იყო 2 282,4 ათასი ლარი, საბოლოოდ, კორექტირების საფუძველზე, გახდა 2 114,3 ათასი ლარი. შემოვიდა 2 007,1 ათასი ლარი, რამდენჯერმე მოხდა ბუნებრივი რესურსების და სხვა არაკლასიფიცირებულ მოსაკრებლებში ცვლილება, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ბიუჯეტის შედგენის დროს მათი დაგეგმვა ბიუჯეტში მოხდა არასწორად.

ასევე, ამ მუხლში, მცირეა შემოსვლები დასუფთავების მოსაკრებლიდან. დაგეგმილი იყო 35,0 ათასი ლარი და შემოვიდა 14,7 ათასი ლარი.

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების კლებას, თავიდან ბიუჯეტში დაგეგმილი იყო 400,0 ათასი ლარი, რამდენიმე კორექტირების შემდეგ საბოლოოდ დარჩა 2 156,1 ათასი ლარი. რეალურად კი შემოვიდა 687,6 ათასი ლარი.

ეს გამოწვეული იყო შემდეგით:

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 8 დეკემბრის N1/1-7794 და N1/1-7795 ბრძანებების და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 22 დეკემბერს გამართულ N 2776 და N2777 ელექტრონულ აუქციონებზე გაიყიდა დაბა ბახმაროში არასასოვლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და ზოგიერთზე არსებული შენობა-ნაგებობები, რომელთა საპრივატიზაციო თანხა შეადგენდა 1 543,0 ათას ლარს და 7 477,0 ათას ლარს. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გაფორმდა სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „ორბი ჯგუფი ბახმაროს“ შორის (02.02.2024).

სააგენტოს ჩაერიცხა 1 543,0 ათასი ლარი, რომლიდანაც ჩოხატაურის ბიუჯეტში ჩაირიცხა 553 450,61 ლარი.

შპს „ორბი ჯგუფი ბახმაროს“ მიერ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე არ ჩარიცხულა 7 477,0 ათასი ლარი, რომელიც უნდა ჩაირიცხოს 2025 წელს და აქედან ჩოხატაურის ბიუჯეტში ჩაირიცხება 1 825,0 ათასი ლარი, რომელიც ასახულია ჩოხატაურის 2025 წლის ბიუჯეტში.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 40 137.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 37 950.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.5 %-ია.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების” მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 9 440.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 9 402.9 ათასი ლარი. რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6 %-ს შეადგენს.

1. საკრებულო: შრომის ანაზღაურება 1 082.6 ათასი ლარი

2. მერია : შრომის ანაზღაურება 2 683.5 ათასი ლარი

5. გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია:

შრომის ანაზღაურება 73.3 ათასი ლარი

6. დასუფთავება ნარჩენების გატანა:

შრომის ანაზღაურება 627.0 ათასი ლარი

7. მწვანე ნარგავების მოვლა-პარტონობა:

შრომის ანაზღაურება 55.6 ათასი ლარი

7. სკოლამდელი განათლების დაფინანსება:

შრომის ანაზღაურება 2 024.2 ათასი ლარი

8. კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება: შრომის ანაზღაურება 2 707.6 ათასი ლარი

9. საზოგადოებრივი ჯანდაცვა: შრომის ანაზღაურება 149.1 ათასი ლარი.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 6 292.3 ათასი ლარის ოდენობით.

საკასო შესრულებამ კი შეადგინა 5 917.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.1 %-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების" კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 1 353.0 ათასი ლარი;
- ✓ მივლინებები - 42.9 ათასი ლარი; მ/ შორის ქვეყნის გარეთ 1.1 ათასი ლარი; ქვეყნის შიგნით 41.8 ათასი ლარი.
- ✓ ოფისის ხარჯები - 1 034.6 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს ოფისის ხარჯები 36.2 ათასი ლარი, მერია 110.0 ათასი ლარი, მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა. საზოგადოების ინფორმირება 31.4 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 542.3 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვა 44.1 ათასი ლარი, განათლება 182.1 ათასი ლარი, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 79.5 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა 9.0 ათასი ლარი.
- ✓ წარმომადგენლობითი ხარჯები - 76.6 ათასი ლარი;

კვების ხარჯები 194.6 ათასი ლარი

სამედიცინო ხარჯები 2.0 ათასი ლარი

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისდა პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 28.6 ათასი ლარი.

- ✓ ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-

  შენახვის ხარჯები - 2 063.0 ათასი ლარი; მ/ შორის საკრებულოს 145.8 ათასი ლარი; მერია 263.3 ათასი ლარი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 89.9 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა 327.4 ათასი ლარი; განათლება 1 129.8 ათასი ლარი; სპორტი, კულტურა, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა 96.7 ათასი ლარი. საზოგადოებრივი ჯანდაცვა 10.1 ლარი .

სხვადანარჩენი საქონელი და მომსახურება-- 1 165.2 ათასი.

,,**პროცენტების**" მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16.7 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ 9.2 ათასი ლარი შეადგინა.(55 %)

„**სუბსიდიების**" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 117.7 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 079.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 96.6 %-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორიცაა:

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია --690.0 ათასი ლარი

- ➢ განათლების ხელშეწყობა - 45.0 ათასი ლარი;
- ➢ კულტურა სპორტი,ახალგაზრდული, გენდერული ღონისძიებები -100.0
- ➢ რელიგია--10,0
- ➢ სოციალური პროგრამების თანადაფინანსება - 234.8 ათასი ლარი.

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 176.9 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 029.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.5 %-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- დაკრძალვის ხარჯი --1.5 ათასი ლარ;

- ლტოლვილთა დახმარება - 7.4 ათასი ლარი;
- ომის ვეტერანების ოჯახების დახმარება - 21.3 ათასი ლარი;
- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი - 598.7 ათასი ლარი
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 356.5 ათასი ლარი.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა 0.8 ათასი ლარი.

თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 25.3 ათასი ლარი, ხოლო ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება 18.2 ათასი ლარი

„სხვა ხარჯების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 678.7 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 615.0 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 96.2 %ია.

„სხვა ხარჯების” მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

საკრებულოს ხარჯები ---140.3 ათასი ლარი

მერია -- 2,3 ათასი ლარი

მგეფისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა--2.6 ათასი ლარი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა --2.0 ათასი ლარი

- სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები - 811.1 ათასი ლარი.

დასუფთავება ნარჩენების გატანა -- 0.4 ათასი ლარი;

--განათლება --22,3 ათასი ლარი

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
  200.3 ათასი ლარი;

- სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება - 152.4 ათასი ლარი;

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება--1.4 ათასი ლარი;

- სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისთვის - 4.2 ათასი ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების დახმარება --275.7 ათასი ლარი

ვალდებულებების კლების მუხლიდან დაზუსტებულმა გეგმამ 83,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო საკასო შესრულებამ 41.5 ათასი ლარია ანუ 50 %.

2024 წლის ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფინსური აქტივები ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით			
დასახელება		დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება,	6 412.7	6 227.9
7.20	თავდაცვა	0.0	0.0
7.40	ეკონომიკური საქმიანობა,	19 264.9	17 891.5
7.50	გარემოს დაცვა	2 345.9	2 155.9
7.60	საბინაო - კომუნალური მეურნეობა,	1 665.0	1 552.3
7.70	-ჯანმრთელობის დაცვა,	179.5	179.5
7.80	-დასვენება და კულტურა,	4 695.5	4 579.7

7.90	განათლება	4 020.1	3 979.1
7.10	სოციალური დაცვა	1 554.1	1 384.1
	სულ ჯამი	**40 137.7**	**37 950.0**

სარეზერვო ფონდი

2024 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან მერის გადაწყვეტილებით სულ გამოიყო გამოყოფილია 290.1 ათასი ლარი.

ფაქტიურად გახარჯულია 277.9 ათასი ლარი(95.8 %)

ამ ხარჯების უმეტესობა გაწეულია სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის. ფაქტობრივად, იგნორირებულია საკრებულოს დადგენილება სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2024 წელში პრიორიტეტების დაფინანსების მაჩვენებლები:

№	ორგანიზაციული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	12 თვის შესრულება
1	01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	6 122.6	5 950.0
2	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	6 796.1	6 470.4
3	02 02	გარე განათება	1 665.0	1 552.3
4	02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 458.5	1 343.4
5	02 04	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	816.3	813.8

6	02 05	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო	264.8	223.8
7	02 06	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	9 713.7	8 913.2
8	02 09	ზედამხედველობა	170.0	113.3
9	03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 345.9	2 156.0
10	04 00	განათლება	4 020,1	3 979.1
15	05 00	კულტურა, სპორტი, ახალგაზრდული, გენდერი, რელიგია	4 747.5	4 599.7
21	06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	179.5	179.5
22	06 02	სოციალური პროგრამები	1 837.7	1 655.5
		სულ	**40 137.7**	**37 950.0**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1 176,9 ათასი ლარით., ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 029, 7 ათასი ლარი, რაც გეგმის 87,5 %-ია. აქედან სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯმა შეადგინა 598,7 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით დარჩა 293,,4 ათასი ლარი დავალიანება, მათ შორის 175,0 ათასი ლარი - მედიკამენტების ღირებულება და 118,4 ათასი ლარი - სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.

აღნიშნული დავალიანების დაფარვა ხდება 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯზე. ასევე 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯზე მოხდა 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კოდი - (05.05.02 ქალთა ეკონომიკური გაძლიერება) დაფინანსება 20,0 ათასი ლარით.

2024 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს ძირითადად გათვალისწინებული იქნა 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა. ამ გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტები და პროგრამები, მაგრამ ბიუჯეტის 2024 წლის ანგარიშში არა არის წარმოდგენილი ამ პრიორიტეტებისა და პროგრამების შეფასების ინდიკატორები (კარგი იქნება, ანგარიშს

ამზადებდეს მთლიანად მერია და არა საფინანსო სამსახური), რაც მომავალში აუცილებლად გასათვალისწინებელია.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ ანგარიში განხილული იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე 2025 წლის 24 აპრილს და კომისიის სახელით, მოგმართავთ საკრებულოს, დაამტკიცოთ, 2024 წლის შესრულების წლიური ანგარიში.